


ReMod

appear

#322



**მთიანი დასახლებების მედეგობის ჩამოყალიბება კრიზისების
მიმართ აღპებსა და კავკასიაში | ReMoDe**
თანამშრომლობა საქართველოსა და ავსტრიას შორის

პროექტის კოორდინატორი:

სარა შონჰერი

კოორდინატორი დაწესებულება:

ინსბრუკის უნივერსიტეტი

პარტნიორი დაწესებულება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
(გვანცა სალუქვაძე)

პარტნიორი ქვეყანა:

საქართველო

პროექტის ხანგრძლივობა:

2024 წლის 1 აპრილი – 2027 წლის 31 მარტი
(36 თვე)

კონტაქტი:

sarah.schoenherr@uibk.ac.at
gvantsa.salukvadze@tsu.ge

ვებგვერდი:

appear.at/remode

პროექტი დაფინანსებულია APPEAR-ის მიერ –
ავსტრიული პარტნიორობის პროგრამა უმაღლეს
განათლებაში & კვლევა განვითარებისათვის.
APPEAR არის ავსტრიის განვითარების
თანამშრომლობის პროგრამა, რომელსაც
ახორციელებს OeAD

ReMoDe პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მთავი ტურიზმის განვითარების თანმხლები
გამოწვევების ფონზე, დასახლებების კრიზისების მიმართ მედეგობის გაძლიერება. აღნიშნული
მიზნის მისაღწევად გაერთიანდა კავკასიისა და ალპური რეგიონების აკადემიური ინსტიტუტები,
კერძოდ, ინსბრუკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები. ამ პროცესში საფუძველი
ჩაეყრება აქტიურ თანამშრომლობას ორი მთიანი დასახლების დესტინაციის მართვის
ორგანიზაციასთან: შანლანდი (მესტია, საქართველო) და კაუნერტალი (ტიროლი, ავსტრია).
თანამშრომლობის ფარგლებში, საწყისი ეტაპიდან იქნება უზრუნველყოფილი მთიანი
დასახლებების დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა. ამ მიზნით, კვლევის
მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა,
რასაც დაეყრდნობა შემდგომი ინსტიტუციური ანალიზი და გაიმართება დაინტერესებულ
მხარეებთან მონაწილეობითი შეხვედრები. აღნიშნული უზრუნველყოფს სამოქალაქო
საზოგადოების საჭიროებების, მოსაზრებებისა და აღქმების სიღრმისეულ შესწავლას.
პროექტის მიზანია შეიმუშაოს მთიანი რეგიონების მედეგობის ინდექსი, რომელიც გააერთიანებს
დასახლების განვითარების მიმართულებების სხვადასხვა ინდიკატორებს. მედეგობის
ინდექსი შემუშავდება დაინტერესებული მხარეების რამდენიმე საფეხურიანი უკუკავშირის
საფუძველზე, რაც გამოიხატება, მათი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევაში
აქტიური მონაწილეობით. ამ ყოველივეს შედეგად, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად
განხორციელდება პირველადი ინდიკატორების ვალიდაცია, რათა ერთობლივად შეიქმნას
მთიანი დასახლებების მედეგობის ინდექსი. აღნიშნულის ფარგლებში ჩამოყალიბდება
მედეგობის ციფრული მონიტორინგის პლატფორმა (Digital Monitoring Resilience Platform (DRP)).
დაინტერესებული მხარეები DRP პლატფორმას გამოიყენებენ დასახლებების მედეგობის დონისა
და მასთან დაკავშირებული აქტივობების განსაზღვრისათვის.
პროექტის ფარგლებში გენერირებული ემპირიული ცოდნის გაზიარება მოხდება თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის უნივერსიტეტების სადოქტორო სკოლებს შორის.
აღნიშნული უზრუნველყოფს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტებს შორის აკადემიური
კავშირების დამყარების უნიკალურ შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა
მკვლევრები, პროექტის ძირითადი გუნდის წევრებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვებიან ორივე
შესასწავლი მთიანი დასახლების სავსეს საშუალებაში.

With funding from

 **Austrian
Development
Cooperation**

Acknowledgements | Editor and Publisher:
OeAD-GmbH, Ebendorferstrasse 7, 1010 Vienna
Headquarters: Vienna | FN 320219 k |
Commercial Court Vienna | ATU 64808925
Managing director: Jakob Calice, PhD

Editor: APPEAR – Austrian Partnership Programme in
Higher Education and Research for Development |
appear@oead.at | www.appear.at | **Design:** Birgit Preiner
Photos: ReMoDe/Temur Gugushvili, TVB Tiroler Oberland
Sepp Mallaun | **Printed by:** Print Alliance HAV Produktions
GmbH, 2540 Bad Vöslau | Vienna, November 2024